ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ქონების მართვის და ბუნებრივ რესურსთა

კომისიის სდომა N 9

დ. ლენტეხი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ქონების მართვის და ბუნებრივ რესურსთა

კომისიის სდომა N 9

დასწრების ფურცელი :

1. დათო ფურელიანი : /დ. ფურელიანი/

2. ირაკლი ქურასბედიანი: / ი.ქურასბედიანი/

3. კახა ლიპარტელიანი: /კ.ლიპარტელიანი/

4. ემზარ ქალდანი: /ე. ქალდანი /

5. გამზა ლიპარტელიანი: / გ. ლიპარტელიანი/

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ქონების მართვის და ბუნებრივ რესურსთა

კომისიის თავმჯდომარე: /დ. ფურელიანი/

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ქონების მართვის და ბუნებრივ რესურსთა

კომისიის სდომა N 9

დღის წესრიგი :

1. ა(ა)იპ ლენტეხის მუნიციპალიტეტის გარემოს დაცვისა და ეკოლოგიური განვითარების ცენტრის 2025 წლის ბიუჯეტის ცხრა თვის ანგარიში.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ქონების მართვის და ბუნებრივ რესურსთა

კომისიის სდომის

თავმჯდომარე: /დ. ფურელიანი/

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ქონების მართვის და ბუნებრივ რესურსთა

კომისიის სხდომა

ოქმი N ♀9

დ. ლენტეხი 11.11.2025 წ.

თერთმეტ ნოემბერს, დღის 12 საათზე ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და ბუნებრივ რესურსთა კომისიის სხდომა

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის თავმჯდომარე და კომისიის წევრები ირაკლი ქურასბედიანი და ემზარ ქალდანი, მოწვეული სტუმარი - მომხსენებელი როლანდ თედორაძე, სხდომის მდივანი ნანი ბენდელიანი.

კომისიის თავმჯდომარემ დ. ფურელიანმა სხდომას გააცნო დღის წესრიგი შემდეგი საკითხით:

1. ა(ა)იპ ლენტეხის მუნიციპალიტეტის გარემოს დაცვისა და ეკოლოგიური განვითარების ცენტრის 2025 წლის ბიუჯეტის ცხრა თვის ანგარიში.
   / ა(ა)იპ გარემოს დაცვისა და ეკოლოგიური განვითარების ცენტრის დირექტორი როლანდ თედორაძე/

დღის წესრიგთან დაკავშირებით შენიშვნა არ ყოფილა.

მოისმინეს: ა(ა)იპ ლენტეხის მუნიციპალიტეტის გარემოს დაცვისა და ეკოლოგიური განვითარების ცენტრის 2025 წლის ცხრა თვის ანგარიშში აღნიშნულია, რომ მ/წ ბიუჯეტი შეადგენს 262 000 ლარს, გახარჯულია 2,185.20 ლარი.

შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგო 104,020 ლარი - დასაქმებულია 28 თანამშრომელი.

სუბსიდიების თანამდებობრივი სარგო-85,970 ლარი, დასაქმებულია 15 თანამშრომელი.

სულ გახარჯულია 192,175.20 ლარი, ბიუჯეტის 73%.

მ/წ მუშაობის შედეგად გამოვლინდა საწარმოთა მცირე რიცხვი, ძირითადად საამქროები საიდანაც მავნე ნივთიერებების გაფრქვევა იწვევს ატმოსფეროს დაბინძურებას. სახერხი საამქროების განახევრებამ გამოიწვია ატმოსფეროს დაბინძურების შემცირება.

შემოწმებული იქნა წყლის ყველა ობიექტი, რაიმე სერიოზული ხარვეზი არ გამოვლენილა. მთელი წლის განმავლობაში ჩატარებულია რამოდენიმე რეიდი, (შემოწმებები) როგორც მდინარეებზე, ასევე ტყის მასივებში, რაიმე დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

ასევე ხდება მეწყერ საშიში და ეროზირებული ტერიტორიების დათვალიერება.

დასაქმების ხელშეწყობის ფარგლებში საზოგადოებრივ სამუშაოზე დასაქმებული არის 250 ბენეფიციარი, რომლებიც საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ასრულებენ სხვადასხვა სამუშაოებს მიცემული დავალებების შესაბამისად. მათ ადგილზე კოორდინაციას უწევენ ა(ა)პის თანამშრომლები, თემის რწმუნებულთან ერთად.

შენიშვნის სახით, რ. თედორაძემ განაცხადა, რომ მათ ესაჭიროება კვალიფიციური გეოლოგი, რომელიც შეძლებს მდინარეების ადიდებისა და ღვარცოფების საშიშროების შეფასებას.

კომისიის თავმჯდომარემ დ. ფურელიანმა დასვა საკითხი, რომ სოფლის მოსახლეობის წყლის სისტემა, რომელიც ეკუთვნის ადგილობრივ მუნიციპალიტეტს, წელიწადში ორჯერ მაინც უნდა იყოს გადამოწმებული.

კომისიამ მოსმინა ანგარიში, მომხსენებელს მიეცა გარკვეული სახის რეკომენდაციები და მოსმენილი ანგარიში შეაფასა დადებითად.

სხდომა დასრულდა 14 საათზე.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ქონების მართვის და ბუნებრივ რესურსთა

კომისიის თავმჯდომარე : /დ. ფურელიანი/